



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49.49220845

თარიღი:25/03/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 33**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის 2016 წლის 31 მაისს გაფორმებულ N10 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს 9723,087 ლარის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4822080149; 21/03/2022) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე თამთა ცხადაძის განცხადების საფუძველზე, მოიჯარის ფინანსური მდგომარეობისა და პანდემიის გათვალისწინებით ითხოვს თანხმობას საკრებულოსაგან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის 2016 წლის 31 მაისს გაფორმებულ N10 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს 9723,087 ლარის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ. კერძოდ, ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს „ 2.2<sup>2</sup>“ პუნქტი შემდეგი ჩანაწერით: „ 2.2.<sup>2</sup> 2022 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით გადასახდელი 41 470 ლარის საიჯარო ქირის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და გადახდა მოხდეს 2023 წლის 18 მარტამდე. შემოაღნიშნულ თანხაზე ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება“.

შემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის 2016 წლის 31 მაისს გაფორმებულ N10 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს 9723,087 ლარის გადახდისაგან განთავისუფლების თაობაზე.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში  
(მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

